საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაგვისარა

თაგვისარა (Ruscus), მცენარეთა გვარი სატაცურისებრთა ოჯახისა. ორსახლიანი, დაბალი, მარადმწვანე, მხოხავფესურიანი ქონდარა ბუჩქია. ყლორტები გადაქცეული აქვს ფოთლისებრ, ზოგჯერ კლიან ფილოკლადოდიუმებად, რ-თა ძირშიც სხედან წვრილი ქერცლისებრი ფოთლები. აქვს წვრილი, მწვანე, ერთსქესიანი ყვავილები; სფერული, ხორცოვანი წითელი კენკრა ნაყოფი. გვარში 9 სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია აზორის, კანარისა და მადეირის კებზე, აგრეთვე დას. ევროპაში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი თ-ს ორი სახეობაა: საკუთრივ თ. ანუ პ ო ნ ტ ო უ რ ი თ. (ღ. პონტიცუს), რ-იც იზრდება აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის და ქართლის ტყის ქვედა სარტყლის ტყესა და ბუჩქნარში, და ძმერხლი ანუ კოლხური თ. (ღ. ცოლცჰიცუს), რ-იც გავრცელებულია აფხაზეთის, აჭარისა და ქართლის ტყესა და ბუჩქნარში. ორივე სახეობა დეკორატიულია.

მ. გურგენიძე